

შპს „დუსან ჯორჯია“

2024 წლის ინდივიდუალური
ფინანსური ანგარიშგება

შპს "დუსან ჯორჯია"

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ქართული ლარი	შენიშვნა	31-12-24	31-12-23
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	3.1	490,846	29,113
სავაჭრო მოთხოვნები		1,933,273	2,410,001
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი		45,256	351,837
სხვა მარაგები		8,070,218	7,218,542
სხვა მიმდინარე აქტივები		4,601	56,545
სულ მოკლევადიანი აქტივები		10,544,194	10,066,038
ძირითადი საშუალებები	3.2	441,458	408,281
სხვა არამატერიალური აქტივები		574	3,611
ბიოლოგიური აქტივები თვითღირებულების მოდელით		3,444	3,444
სულ აქტივები		10,989,670	10,481,374
ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები		4,213,522	4,336,578
საგადასახადო ვალდებულებები		47,471	(0)
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ		4,552	20,045
გამოუმუშავებელი შემოსავალი		525,767	281,824
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	3.3	437,466	523,088
ვალდებულებები ფინანსური იჯარიდან		(0)	35,948
სხვა ვალდებულებები		-	-
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		5,228,778	5,197,483
პარტნიორთა კაპიტალი		12	12
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი		5,760,880	5,283,879
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		10,989,670	10,481,374

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად.

დირექტორი _____ /ალექსი ასკურავა/

26.09.2025 წ.

საქმიანობის შედეგები

ქართული ლარი	შენიშვნა	2024	2023
განგრძობითი ოპერაციები:			
ამონაგები	3.4	26,053,882	19,846,606
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(21,825,642)	(16,032,936)
საერთო მოგება		4228240	3,813,671
სარეკლამო და მარკეტინგული მომსახურების ხარჯი		(5,707)	(72,572)
პერსონალის ხარჯი		(1,385,360)	(1,541,301)
საკონსულტაციო ხარჯი		(48,097)	(39,650)
საგადასახადო ხარჯი		(4,968)	(3,786)
ხარჯად აღიარებული ჯარიმები და საურავები		(2,466)	(9,946)
კომუნალური ხარჯები		(13,166)	(22,713)
იჯარის ხარჯი		(263,954)	(207,198)
ტრანსპორტირებისა და გადაცემის ხარჯი		(128,968)	(152,521)
ცვეთა და ამორტიზაცია		(134,638)	(178,233)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	3.5	(506724)	(409,062)
საოპერაციო (ზარალი)/მოგება		1734192	1,176,688
გაუფასურების ხარჯი/ რევერსირება		-	-
საპროცენტო შემოსავალი	3.6	22,322	25,443
საპროცენტო ხარჯები	3.6	(93,838)	(54,294)
საკურსო სხვაობა		(177,624)	(82,196)
ნეტო შედეგი გრძელვადიანი აქტივების გასვლიდან		-	-
სხვა შემოსავალი		48,068	31,492
სხვა ხარჯები		-	-
(ზარალი)/მოგება მოგების გადასახადით დაბეგრამდე		1533120	1,097,132
მოგების გადასახადის ხარჯი		(29819)	(27,869))
წლის (ზარალი)/მოგება		1,503,301	1,069,262
სხვა სრული შემოსავალი			
სულ წლის სრული (ზარალი)/მოგება		1,503,301	1,069,262

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად.

დირექტორი _____ /ალექსი ასკურავა/

26.09.2025 წ.

შპს "დუსან ჯორჯია"

კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება

ლარი	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი მოგება	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	12	5,459,046	5,459,058
მოგება და სხვა სრული შემოსავალი წლის განმავლობაში	-	1,069,262	1,069,262
განაწილებული დივიდენდი	-	(1,244,430)	(1,244,430)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	12	5,283,879	5,283,891
მოგება და სხვა სრული შემოსავალი წლის განმავლობაში	-	1,503,301	1,503,301
განაწილებული დივიდენდი	-	(1026300)	(1026300)
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	12	5,760,880	5,760,892

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად.

დირექტორი _____ /ალექსი ასკურავა/

26.09.2025 წ.

შპს "დუსან ჯორჯია"

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

ლარი	2024 წ.	2023 წ.
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:	3,535,972	(88474)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან:	(1,001,300)	(1244430)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან:	(2,066,540)	(223936)
შეზღუდული ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა) წლის განმავლობაში	468,132	(1,556,840)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისისთვის	29,113	1,583,628
ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გავლენა ფულადი სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	(6,399)	2,325)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები პერიოდის ბოლოსთვის	490,846	29,113

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად.

დირექტორი _____ /აღეჭი ასკურავა/

26.09.2025 წ.

2024 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ნაწილი

1.1. შპს „დუსან ჯორჯია“ (შემდგომში – კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრებულია 2012 წლის 15 აგვისტოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. მისი საიდენტიფიკაციო კოდია - 404955036, იურიდიული მისამართი - საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, საქართველოს სამხედრო გზაზე მუხათგვერდის სასაფლაოზე ასახვევ გზასა და ფირმა "შანი"-ს შორის. კომპანია დარეგისტრებულია დღგ-ის გადამხდელად.

1.2. ანგარიშგების დამტკიცების მომენტისათვის კომპანიის 100% წილის მფლობელელია შპს „დ.კ. კომპანი“ (ს/კ 426522809)

1.3. კომპანიის დირექტორია ალექსი ასკურავა (პ.ნ.01008009721).

1.4. კომპანიის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა სამშენებლო ტექნიკით ვაჭრობა, მშენებლობის ტექნიკის და მოწყობილობების იჯარა და სპეცტექნიკის სარემონტო მომსახურება. კომპანია საანგარიშგებო პერიოდში სავაჭრო საქმიანობას ახორციელებდა ლოკაციის 2 ადგილიდან (1 - ზესტაფონი, 1 - თბილისში).

1.5. კომპანიას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არ ჰყავს შვილობილი და მეკავშირე საწარმოები.

1.6. წესდების მიხედვით, საანგარიშგებო წელი გრძელდება 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

2. მომზადების საფუძველი და გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1. 2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებული, კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება წარმოებს მსს ფასს-ის (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის) მიხედვით. ამასთან, კომპანია წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად. აღნიშნული

კანონიდან გამომდინარე, კომპანიას არ ევალება წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

2.2. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი - დარიცხვის მეთოდი დაცულია. სააღრიცხვო შეფასებები და ძირითადი დაშვებები მუდმივად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

2.3. გათვალისწინებულია მსს ფასს-ის ძირითადი დაშვება - ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელის, რომ მინიმუმ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში კომპანია შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა. შესაბამისად, კომპანიის 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

2.4. 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, გამოყენებულია ამ თარიღის მდგომარეობით მოქმედი მსს ფასს.

2.5. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს (1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე).

2.6. კომპანიის მიერ გამოყენებულია შემდეგი სააღრიცხვო პოლიტიკა:

შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება საქონლის და მომსახურების გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულებით, დარიცხვის მეთოდის შესაბამისად.

რეალიზებული საქონლის უკან დაბრუნება და ფასდათმობა აღიარებულია შემოსავლის შემცირების გზით, გაყიდვების აღიარებასთან ერთად.

საეჭვო მოთხოვნების აღიარება

კომპანიის საეჭვო მოთხოვნების სიდიდე განისაზღვრება ინდივიდუალურად თითოეული დებიტორული დავალიანების შესწავლის გზით. თუ დებიტორული დავალიანების წარმოშობიდან გასულია 3 წელი ან მეტი, ეს წარმოადგენს წინაპირობას მისი 100%-იანი გაუფასურებისათვის, თუმცა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ხდება დამატებითი განსჯა, საჭიროა თუ არა მოთხოვნის გაუფასურების ანარიცხის აღიარება.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის წარმოადგენს შემდეგი სიდიდეების ნეტო ღირებულებას:

(ა) თანხა, რომლითაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასებულია თავდაპირველი აღიარებისას;

(ბ) გამოკლებული ძირი თანხის დასაფარად გადახდილი თანხები;

(გ) მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ; და

(დ) გამოკლებული, ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ან უიმედო ვალის შემცირების თანხა (პირდაპირ, ან რეზერვების ანგარიშების გამოყენებით).

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებსაც არ გააჩნია ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, დაკავშირებული არ არის ისეთ შეთანხმებასთან, რომელიც ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს და კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, თავდაპირველად შეფასდება არადისკონტირებული ღირებულებით. აქედან გამომდინარე, მათზე არ ვრცელდება ზემოაღნიშნული (გ) პუნქტის მოთხოვნა.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების, ან ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდზე მიკუთვნების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან, როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები ზუსტად დისკონტირდება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი უნდა განისაზღვროს ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე დაყრდნობით, რომელიც მას გააჩნია საწყისი აღიარებისას. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით:

(ა) ფინანსური აქტივის (ვალდებულების) ამორტიზებული ღირებულება არის მომავალში მისაღები (გადასახდელი) ფულადი სახსრების დღევანდელი ღირებულება, რომელიც დისკონტირებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით; და

(ბ) პერიოდის საპროცენტო ხარჯი (შემოსავალი) ტოლია მოცემული პერიოდის ფექტური საპროცენტო განაკვეთისა და ფინანსური ვალდებულების (აქტივის) საბალანსო ღირებულების ნამრავლის, რომელიც მას ჰქონდა პერიოდის დასაწყისში.

გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება კომპანიის შესაბამის ფუნქციონალურ ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიცვლება ფუნქციონალურ ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშდება სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება ფუნქციონალურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა გასამრჯელოები აღიარდება შესრულებული სამუშაოს საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით.

მარაგები

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ისინი შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის გაყიდვასთან. მარაგების ჩამოწერა ხდება სპეციფიკური იდენტიფიკაციის მეთოდის საშუალებით, თუ ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია, ხოლო სხვა შემთხვევებში - საშუალო ფასთა მეთოდის გამოყენებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს კომპანიისთვის წარმოადგენს ფული სალაროში და ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

გრძელვადიანი აქტივები

ა) ძირითადი საშუალებების, საინვესტიციო ქონების და არამატერიალური აქტივების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ბ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთისათვის გამოიყენება წრფივი მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თვიდან, როდესაც ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გამოყენება დაიწყო, ხოლო იმ თვეში, როდესაც მოხდა ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გასვლა, ცვეთის დარიცხვა არ ხდება.

გ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთა ხდება საბალანსო და სალიკვიდაციო ნარჩენ ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით. თუ კონკრეტული ძირითადი საშუალებისთვის ან საინვესტიციო ქონებისთვის ნარჩენი სალიკვიდაციო ღირებულება განსაზღვრული არ არის, ის ჩაითვლება ნულის ტოლად, ხოლო თუ სასარგებლო სამსახურის ვადა არ არის დადგენილი, ცვეთის დარიცხვა ხდება შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთების მიხედვით:

შენობა-ნაგებობები - 25-40 წელი;

მანქანა-დანადგარები - 8-10 წელი;

კომპიუტერული ტექნიკა - 4 წელი;

ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა - 5 წელი;

სარეკლამო საშუალებები - 5 წელი;

სატრანსპორტო საშუალებები - 10 წელი;

სხვა ძირითადი საშუალებები - 2-5 წელი.

ე) არამატერიალური აქტივების ამორტიზაციისათვის გამოიყენება:

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა და ეს ვადა განსაზღვრულია, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი მათი სასარგებლო სამსახურის ვადის შესაბამისად;

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, მაგრამ ეს ვადა ცალსახად განსაზღვრული არ არის, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით - 15%;

- არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადით არ ამორტიზდება.

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები

და შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს არსებითი კორექტირებების მნიშვნელოვან რისკებს მომავალი ფინანსური წლის შედეგებზე.

2.7. გადასახადები

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური დაწესებულებებისა (როგორიც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და და დადგენილი წესით რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები). კომპანიის დაბეგვრა მოგების გადასახადით ხდება „ესტონური მოდელის“ შესაბამისად.

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, როგორც წესი, არ წარმოეშვებათ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად, 2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები (გარდა იშვიათი გამონაკლისი შემთხვევებისა).

2017-2024 წლებში საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ს შეადგენდა.

2.8. წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

2.9. გაცვლითი სავალუტო კურსები

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD= 2.6894 ლარი;

1 EUR=2.9753 ლარი.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD= 2.8068 ლარი;

1 EUR=2.9306 ლარი.

3. ფინანსური ანგარიშგების მუხლების განმარტებითი შენიშვნები

3.1. ფული და ფულის ეკვივალენტები:

ლარი	31-12-24	31-12-23
ნაღდი ფული	565	7,311
ეროვნული ვალუტა საბანკო ანგარიშზე	192784	20,097
უცხოური ვალუტა საბანკო ანგარიშზე	297497	1,705
სულ მარაგები	490846	29,113

3.2. ძირითადი საშუალებები:

ლარი	მიწის ნაკვეთები	შენობა- ნაგებობები	მანქანა- დანადგარები და მოწყობილობები	ოფისის აღჭურვილობა, ავიჯი და ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	სხვა ამორტიზებადი ძირ. საშუალებები	სულ
ისტორიული ღირებულება							
ისტორიული ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		2,447	89,575	131,105	632,333	518,496	1,373,955
შესყიდვები - 2024 წ.		11128	1629	41476		110546	164,780
გასვლები - 2024 წ.					48459		48,459
ისტორიული ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		13,575	91,204	172,581	583,874	629,042	1,490,276
ცვეთა							
ცვეთის ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		-573	-56,331	-87,687	-351,459	-469,624	-965,674
ცვეთა წლის განმავლობაში-2024წ		-471	-8286	-15797	-65346	-41701	-131,601
გასვლები - 2024 წ.					48459		48,459
ცვეთის ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		-1044	-64617	-103484	-368346	-511325	-1,048,816
							0
წმინდა საბალანსო ღირებულება							
2023 წლის 31 დეკემბრის		1,873	33,244	43,418	280,874	48,872	408,281
2024 წლის 31 დეკემბრის		12,531	26,588	69,097	215,528	117,716	441,460

3.3 სასესხო ვალდებულებები:

2024 წლის ბოლოს კომპანიის ფინანსური ვალდებულებები შედგება ადგილობრივი ლიცენზირებული ფინანსური ინსტიტუტებიდან ნასესხები ბიზნეს სესხებისაგან.

3.4 ამონაგები

ლარი	2024 წ.	2023 წ.
ამონაგები საქონლის გაყიდვიდან	25,265,424	16,800,865
ამონაგები მომსახურების გაწევიდან	788,458	3,045,742
სულ ამონაგები	26,053,882	19,846,606

3.5 ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი:

ლარი	2024 წ.	2023 წ.
საოფისე ინვენტარის ხარჯი	18,314	29,943
საკანცელარიო ხარჯი	1,694	1,678
კომპიუტერის ხარჯები	1,752	1,553
კომუნიკაციის ხარჯები	20,861	25,969
დაზღვევა	11,418	13,408
საბანკო ხარჯები	17,613	12,895
მივლინების ხარჯი	101,163	101,935
რემონტი (გარდა ავტოტრანსპორტისა)	11,102	19,375
საავტომობილო ტექნიკის შეკეთება/რემონტი	93,574	106,455
წარმომადგენლობითი ხარჯი	16,828	9,354
სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	212,405	28,862
სულ მიწოდების და საერთო-ადმინისტრაციული ხარჯები	506,724	409,062

3.6 ფინანსური შემოსავლები და ხარჯები:

2024 წლის კომპანიის საპროცენტო შემოსავლები შედგება ადგილობრივ ბანკებში განთავსებულ საბრუნავ ფულად სახსრებზე დარიცხული სარგებლისგან, ხოლო საპროცენტო ხარჯები გაწეულია საბანკო ბიზნეს სესხებთან მიმართებით.

შპს "დუსან ჯორჯია"

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ქართული ლარი	შენიშვნა	<u>31-12-24</u>	<u>31-12-23</u>
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	3.1	490,846	29,113
სავაჭრო მოთხოვნები		1,933,273	2,410,001
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი		45,256	351,837
სხვა მარაგები		8,070,218	7,218,542
სხვა მიმდინარე აქტივები		4,601	56,545
სულ მოკლევადიანი აქტივები		10,544,194	10,066,038
ძირითადი საშუალებები	3.2	441,458	408,281
სხვა არამატერიალური აქტივები		574	3,611
ბიოლოგიური აქტივები თვითღირებულების მოდელით		3,444	3,444
სულ აქტივები		10,989,670	10,481,374
ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები		4,213,522	4,336,578
საგადასახადო ვალდებულებები		47,471	(0)
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ		4,552	20,045
გამოუმუშავებელი შემოსავალი		525,767	281,824
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	3.3	437,466	523,088
ვალდებულებები ფინანსური იჯარიდან		(0)	35,948
სხვა ვალდებულებები		-	-
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		5,228,778	5,197,483
პარტნიორთა კაპიტალი		12	12
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი		5,760,880	5,283,879
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		10,989,670	10,481,374

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად.

დირექტორი _____ /ალექსი ასკურავა/

26.09.2025 წ.



შპს "დუსან ჯორჯია"

საქმიანობის შედეგები

ქართული ლარი	შენიშვნა	2024	2023
განგრძობითი ოპერაციები:			
ამონაგები	3.4	26,053,882	19,846,606
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(21,825,642)	(16,032,936)
საერთო მოგება		4228240	3,813,671
სარეკლამო და მარკეტინგული მომსახურების ხარჯი		(5,707)	(72,572)
პერსონალის ხარჯი		(1,385,360)	(1,541,301)
საკონსულტაციო ხარჯი		(48,097)	(39,650)
საგადასახადო ხარჯი		(4,968)	(3,786)
ხარჯად აღიარებული ჯარიმები და საურავები		(2,466)	(9,946)
კომუნალური ხარჯები		(13,166)	(22,713)
იჯარის ხარჯი		(263,954)	(207,198)
ტრანსპორტირებისა და გადაცემის ხარჯი		(128,968)	(152,521)
ცვეთა და ამორტიზაცია		(134,638)	(178,233)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	3.5	(506,724)	(409,062)
საოპერაციო (ზარალი)/მოგება		1734192	1,176,688
გაუფასურების ხარჯი/ რევერსირება		-	-
საპროცენტო შემოსავალი	3.6	22,322	25,443
საპროცენტო ხარჯები	3.6	(93,838)	(54,294)
საკურსო სხვაობა		(177,624)	(82,196)
ნეტო შედეგი გრძელვადიანი აქტივების გასვლიდან		-	-
სხვა შემოსავალი		48,068	31,492
სხვა ხარჯები		-	-
(ზარალი)/მოგება მოგების გადასახადით დაბეგრამდე		1533120	1,097,132
მოგების გადასახადის ხარჯი		(29819)	(27,869))
წლის (ზარალი)/მოგება		1,503,301	1,069,262
სხვა სრული შემოსავალი			
სულ წლის სრული (ზარალი)/მოგება		1,503,301	1,069,262

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად.

დირექტორი _____ /ალექსი ასკურავა/

26.09.2025 წ.



შპს "დუსან ჯორჯია"

კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება

ლარი	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი მოგება	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	12	5,459,046	5,459,058
მოგება და სხვა სრული შემოსავალი წლის განმავლობაში	-	1,069,262	1,069,262
განაწილებული დივიდენდი	-	(1,244,430)	(1,244,430)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	12	5,283,879	5,283,891
მოგება და სხვა სრული შემოსავალი წლის განმავლობაში	-	1,503,301	1,503,301
განაწილებული დივიდენდი	-	(1026300)	(1026300)
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	12	5,760,880	5,760,892

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად.

დირექტორი _____ ალექსი ასკურავა/
26.09.2025 წ.



შპს "დუსან ჯორჯია"

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

ლარი	2024 წ.	2023 წ.
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:	3,535,972	(88474)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან:	(1,001,300)	(1244430)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან:	(2,066,540)	(223936)
წმინდა ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა) წლის განმავლობაში	468,132	(1,556,840)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისისთვის	29,113	1,583,628
ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გავლენა ფულადი სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	(6,399)	2,325)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები პერიოდის ბოლოსთვის	490,846	29,113

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად.

დირექტორი _____ /ალექსი ასკურავა/

26.09.2025 წ.

